მარიამ ბარამიძე, მაკა ჭიღიტაშვილი

ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი, საფრანგეთი

Erasmus+ პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტური და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახურის მენეჯერმა, მარიამ ბარამიძემ და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინატორმა, მაკა ჭიღიტაშვილმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში, საფრანგეთი.

პროგრამის ფარგლებში, განხილული იყო, ინტერნაციონალიზაციის და გლობალური გამოწვევების საკითხები. ასევე, ვიზიტის ფარგლებში მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ როგორც პროფესიულ, ასევე კულტურულ აქტივობებში, რომლებიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარებას.

ვიზიტის მიზანი იყო უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების და აკადემიური პრაქტიკის გაზიარება. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. მონაწილეებმა წარმოადგინეს თავიანთი უნივერსიტეტები, გაცვალეს ინფორმაცია საგანმანათლებლო სისტემებსა და ინსტიტუციურ სპეციფიკებზე რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებას და აღრმავებს თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან.